ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, ნაკვ. №01.72.14.035.142-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო დასკვნა

20.08.2019წ

კორექტ. პროექტი დამუშავებულია 2019 წელს შპს "ბაზიტი" ს.კ 40022506 მიერ:

დირექტორი: მ. ალიბეგაშვილი

პრ. მთ. კონსტრუქტორი - თ. მშველიძე

დაამუშავა - ნ. მსხილაძე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შემდეგი საექსპერტო დოკუმენტაცია:

- კონსტრუქციული ნაწილის ალბომი - ფურც. №№ კ0 -კ77 -სულ:79 ფურც.
- შენობის მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება კომპლექსი "Лира-9.6"-ის პროგრამის საშუალებით - 67 ფურც.
- შენობის სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში - დასკვნები და რეკომენდაციები -9 გვ.
  დანართი ლაბორატორიული კვლევების მასალები -17 გვ.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია 2018 წელს შპს "თბილინვესტპროექტი"-ს მიერ:

დირექტორი - ი. ცხომელიძე

ინჟინერ-გეოლოგი - ი. ცხომელიძე

დაპროექტებული შენობის თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა ექვსსართულიან შენობას დამატებით სარდაფის სართულით.
პროექტის კორექტირების შედეგად დაემატა ორი სართული.
დაპროექტებული შენობის მზიდი კონსტრუქციების პირველად გაანგარიშებაში (კომპლექსი "Лира-9.6"-ის პროგრამის საშუალებით) გათვალისწინებული იყო გათვლა რვასართულიან შენობაზე (სარდაფით) რომლის საფუძველზე ნაწარმოებ იქნა მშენებლობა.

სამშენებლო ნორმების და წესების პნ 01.01.096 (სეისმომედეგი მშენებლობა) თანახმად საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბანი (დიდი დიღომი) განლაგებულია სეისმური საშიშროების მიხედვით 8 ბალიან ზონაში.

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში 20 და 30 სმ. სისქის დიაფრაგმებით.

საძირკველი - მონოლითური რკ. ბეტონის ფილა h = 90 სმ.

გაანგარიშებულია პროგრამა "Лира-Сапр"-ში საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების რეკომენდაციის თანახმად თიხებისთვის საანგარიშო წინაღობით Rc=2.8 კგ/სმ².

კარკასის ყველა მზიდ ელემენტში მიღებულია B25 კლასის მონოლითური ბეტონი, აგრეთვე A500c და A240c კლასის არმატურა.

სვეტები -180X40: 160X40: 110X40: 80X40: 40X9 და 40X40 სმ კვეთის რიგელები - 40X40სმ: გადახურვის ფილები - h = 18 სმ, სახურავი - ბრტყელი.

შემომფარგლელი საკედლე კონსტრუქციად მიღებულია თვითმზიდი მსუბუქი ბეტონის ბლოკების (B=20 სმ დამატებითი დათბუნებით) წყობა, შესაბამისი ანტისეისმური ღონისძიებებით.

შენობის მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე და აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე ჩატარებულია "Лира-9.6"-ის პროგრამის საშუალებით.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმების და წესების შესაბამისობაში, სათანადო პროფესიონალურ დონეზე. შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური გადაწყვეტები სრულად აკმაყოფილებს როგორც სტატიკურ დატვირთვებზე, ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე, მდგრადობის საიმედობის მოთხოვნებს.

პროექტს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი: ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. მიქაძე

შპს "არქსტუდია ნიაპი"-ს დირექტორი ვ. ძაგანია